პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 დეკემბერი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 232 (9899) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

1 გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზი

მეჩვიდმეტედ!

ახლა მუდამ: ხანგრძლივი შეჯიბრების დამთავრებისას ერთდროულად დაღლასაც განვიცდით და მრნაწილეებთან განშორების სევდასაც. ვფიქრობთ, ეს თბილისის ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზეც ითქმის. ასეთი განწყობა მართლაც სეფევდა „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში, ვიდრე უკანასკნელ შეხვედრაში დასავლეთგერმანელი არბიტრების, ძმების ჰანს და იურგენ ტომასების ფინალური სასტვენის ხმა არ გაისმა. მაგრამ ამ დროისათვის ტურნირში გამარჯვებული უკვე ცნობილი იყო.

სსრ კავშირის პირველ ნაკრებს ტურნირში გამარჯვებისთვის გფრ-ის გუნდთან მატჩში ფრეც ჰყოფნიდა. ცხადია, მისი მეტოქე მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდა. ამ დღეს თითქოს სენსაციის მოწმენი უნდა გავმხდარიყავით — ყოველ შემთხვევაში შეხვედრის დებიუტი ამას ვვაფიქრებინებდა: 2:1, 5:1 — გფრ-ის გუნდი წინ გავიდა. მაგრამ შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე გოპინმა გაათანაბრა ანგარიში (8:8), ხოლო ტაიმი სსრ კავშირის ნაკრებმა სამი ქულის სხვაობით მოიგო — 12:9. თამაშის დასასრულამდე 8 წუთით ადრე ტაბლოზე ისევ ერთნაირი ციფრები ეწერა — 19:19. სიტუაცია უკიდურესობამდე დაიძაბა. საბჭოთა ნაკრებმა 7-მეტრიანი ტყორცნა შეასრულა უშეცდომოდ — 20;19, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ წონასწორობა კვლავ აღდგა — 20:20, შემდეგ 20:21, და იქვე — 21:21. დაძაბულ ორთაბრძოლას წერტილი ატავინის 7-მეტრიანმა დაუსვა — 22:21. სსრ კავშირის ნაკრებმა მეჩვიდმეტედ მოიპოვა მთავარი პრიზი.

დასავლეთ გერმანიის ხელბურთელებმა წინა დღეს სსრ კავშირის მეორე ნაკრებს სძლიეს — 32:19 (15:8).

ამ დღეს ესპანელმა ხელბურთელებმა აშკარად ვერ გაუძღვნეს სსრ კავშირის პირველ გუნდს. ვფიქრობთ, ამაზე თვალნათლივ მეტყველებს შედეგი — 32:19 (13:4) საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

ბევრი მღელვარება მოგვიტანა საქართველოსა და პოლონეთის ნაკრებთა მატჩმა. სტუმრები სწრაფად დაწინაურდნენ და ტაიმი ექვსი ბურთის სხვაობით მოიგეს — 15:9. შესვენების შემდეგ მასპინძლებმა

იხ. მე.3 გვ.

სსრ კავშირის პირველი ნაკრები.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები სპორტულ აკრობატიკაში

საბოლოოდ რვა მედალი

ანტვერპენში დამთავრდა აკრობატთა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატი; სადაც ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტმა ნატალია ანისიმოვამ, უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტმა ინგა გიორგობიანმა და თბილისის 128-ე სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ სვეტლანა მაკარიჩევამ კიდევ უფრო გაამდიდრეს შეჯიბრების სტარტზე მოპოვებული ოქროს მედლების კოლექცია — საბოლოოდ მათ ორი ოქროს მედალი გუნდურ შეჯიბრებაში გადაეცათ, ორი — აბსოლუტურში და ორ-ორიც — პირველ და მეორე ვარჯიშებში.

აღსანიშნავია, რომ ვლადიმერ გურგენიძის შეგირდებს პირველად არ დაუპყრიათ უმაღლესი მწვერვალი. 1980 წელს ევროპისა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა ქალთა სამეულმა — ნანა კიკალიშვილმა, მანანა მნათობიშვილმა და მაია შილაკაძემ, ორი წლის შემდეგ კი წყვილთა შორის მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ სვეტლანა მკრტჩიანი და ლიუდმილა გლაზუნოვა.

ჩვენი რესპუბლიკისთვის ალბათ ისიც უპრეცედენტოა, რომ ერთ მწვრთნელს რვა მსოფლიო ჩემპიონი აღეზარდოს.

ჩემპიონთა მომზადებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს აკრობატიკის რესპუბლიკურ სპორტსკოლას (დირექტორი მიხეილ გეგელია), რომელმაც სათანადო პირობები შეუქმნა როგორც მწვრთნელს, ისევე შეგირდებს იმისათვის, რომ მათ ასეთი დიდი წარმატებისთვის მიეღწიათ.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნატალია ანისიმოვა და ინგა გიორგობიანი ასკ-ს წევრები არიან, ხოლო სვეტლანა მაკარიჩევა „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელია.

საბჭოთა გუნდიდან ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე ვაჟთა ოთხეულმა და წყვილმა, შერეულმა წყვილმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, მეორე ადგილზე გავიდნენ ჩინეთის, მესამეზე — ბულგარეთის წარმომადგენლები.

„ლელოს“ გამარჯვებულთა შორის

მინსკში დამთავრდა სპორტული პრესის მუშაკთა საკავშირო სემინარი, რომელიც მიმდინარეობდა დევიზით: „სპორტულ ჟურნალისტთა შემოქმედებითი ლაბორატორია-პრობლემები და ძიება“.

1988 წელს გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით საუკეთესოდ გამოაცხადეს და სემინარზე სპორტული პრესის საკავშირო ფედერაციის სამახსოვრო პრიზები გადასცეს გაზეთების „პრავდის“, „სოვეტსკი სპორტისა“ და „ლელოს“ შემოქმედებით კოლექტივებს, ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“, საკდესისა და სახტელერადიოს რედაქციებს. პირადი პრიზები გადაეცათ ი. ვანიატს („ტრუდი“), ლ. რადჩენენკოს (უკრაინა), ე. სუშკევიჩს (ბელორუსია) და მ. ესტერლისს (ლენინგრადი).

პეპი ბოჰორიშვილი,

მინსკი, ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტული კომპლექსის საექსპლუატაციოდ ვადამდე გადაცემისა და სამუშაოთა მაღალი ხარისხისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

თენგიზ გიორგის ძე აბუსერიძე — საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ტრესტ „საქსპორტრემმშენის“ მმართველი; **ნოდარ პიმენის ძე პირველი** — ტრესტ „საქსპორტრემმშენის“ № 1 სარემონტო-სამშენებლო კანტორის უფროსი; **ტარიელ დავითის ძე ეორეოლაძე** — ტრესტ „საქსპორტრემმშენის“ № 1 სარემონტო-სამშენებლო კანტორის მუშა.

ყოველ სამშაბათს...

რამ გაგახარათ, რამ დაგნყვიტათ გული

29 ნოემბერი-4 დეკემბერი

ბუშინ დილიდან რედაქციაში გამუდმებით რეკავდა ტელეფონი, ქართული სპორტის გულშემატკივრები სიხარულს ვერ ფარავდნენ იმის გამო, რომ აკრობატთა მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენმა სამეულმა (ი. გიორგობიანი, ს. მაკარიჩევა, ნ. ანისიმოვა) მედლების ჭეშმარიტად უხვი მოსავალი მოიმკო. ასეთი წარმატება ჯერ არც ერთ ჩვენს გუნდს არ რგებია მსოფლიოს და ევროპის სარბიელზე. გულშემატკივრები გვთხოვენ მადლობა გადავცეთ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს, მშობლებს, სპორტულ საზოგადოებებს, სადაც ისინი აღიზარდნენ, სასწავლებლებს, სადაც ეს შესანიშნავი გოგონები ამჟამად სწავლობენ.

გასული კვირის სასიხარულო ამბების ნუსხაში მკითხველს და სპორტის გულშემატკივარს შეაქვს ძიუდოისტ დავით ხახალეიშვილის წარმატება იუნიორთა ევროპის ჩემპიონატში, ჰადრაკში ელიზბარ უბილავასა და ზურაბ აზმაიფარაშვილისათვის საერთაშორისო დიდოსტატის წოდების მინიჭება, დიდი წარმატება კახი კახიაშვილისა, რომელმაც სსრ კავშირის ჩემპიონატში და საკავშირო თასის გათამაშებაში იუნიორ ძალოსანთათვის მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

გულშემატკივრები სამართლიანად შეაშფოთა „დინამოს“ ვაუ კალათბურთელთა გუნდში შექმნილმა ვითარებამ. საბერძნეთში კორაჩის თასის გათამაშების პროგრამით ჩატარებული მატჩი და ქვეყნის ჩემპიონატში მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრის პირველი შედეგი გულშემატკივრებს რწმენას უნერგავს, რომ გუნდს შეხწევს უნარი რავი დაიღწიოს კრიზისს. კვლავ მოდის წერილები, სადაც მკითხველები გვთხოვენ ვაცნობოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ გელა დარსაძე და კოლექტივი.

მკითხველი მხარს უჭერს იმ ღონისძიებებს, რასაც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელობა მიმართავს დისციპლინის განსამტკიცებლად, რის გარეშეც ძნელი იქნება მყარი და მონოლითური კოლექტივის ჩამოყალიბება და ბრძოლა დაკარგული ტრადიციების დასაბრუნებლად.

გასულ კვირაში ჩვენს სპორტულ თაობაზე თავიანთი აზრი გაგვიზიარეს შვილმა, ბ. ქორიძემ, ს. ვალიანმა, ისი), მ. ჩიქოვანმა, ვ. ნარიმანიძემ ბ. ჩხეიძემ, ე. კუპატაძემ (ორივე — ე. სიმონიშვილმა, დ. ხარაზიშვილმა (კასპი), ვ. გვიჩიანმა (სოხუმი).

სამყაროში მომხდარი მოვლენების მ. კოხრეიძემ, ვ. მეკვიამ, ვ. ედილაა. მიმინოშვილმა (ყველა — თბილ-(რუსთავი), ვ. გაბისონიამ (ფოთი), ქუთაისი), მ. სამხარაძემ (ციათურა), (ორივე — ხაშური), ბ. ქერქაძემ

ღარიბი კალენდრის მიუხედავად

XI

თვის მონაგარი

გასული თვე ერთ-ერთი გამონაკლისი აღმოჩნდა, როცა საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი დიდ შეჯიბრებებზე ღარიბად გამოიყურებოდა. არა, ეს ჩვენი ათლეტების სუსტი გამოსვლით არ აიხსნება. უბრალოდ, ნოემბრის კალენდარი აღმოჩნდა ღარიბი. მიუხედავად ამისა, ცოტაოდენი გასახსენებელი მაინც გვაქვს.

ყველაზე დიდი სასპარეზობა, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, იყო საჭადრაკო ოლიმპიადა სბერძნეთის ქალაქ სალონიკში. აქ სსრ კავშირის ქალთა ნაკრებში ჩვენი რესპუბლიკის მხოლოდ ორი წარმომადგენელი — მაია ჩიბურდანიძე და ელენა ახმილოვსკაია იყო. საბჭოთა ნაკრებმა, ოლიმპიადების ისტორიაში პირველად, პოზიციები დათმო და მეორე ადგილი დაიკავა. ეს, რა თქმა უნდა, წარუმატებლობაა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ვერცხლი მაინც ვერცხლია — მრავალი ქვეყნის მოჭადრაკეთათვის სანატრელი და საოცნებო ჯილდო.

სალონიკის ბატალიები გვაფიქრებინებს, რომ მომავალ საჭადრაკო ოლიმპიადაზე სსრ კავშირის ქალთა გუნდი მთლიანად საქართველოს წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული. იმედია, რომ ისინი საბჭოთა ნაკრებს პირველობას დაუბრუნებენ.

სალონიკში, საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში, ფიდე-ს გენერალური ასამბლეაც გაიმართა. აქ თბილისელ ელიზბარ უბილავასა და ზურაბ აზმაიფარაშვილს საერთაშორისო დიდოსტატის მოწმობები გადაეცათ, რაც, რა თქმა უნდა, სახიხარულო ფაქტია. სახიხარულოა ისიც, რომ თბილისელმა მოჭადრაკე გია გიორგაძემ უმაღლეს ლიგაში დაიმკვიდრა ადგილი.

გასული თვის მიწურულს სახიხარულო ცნობა მივიღეთ ვენიდანაც, სადაც ევროპის იუნიორ ძიუდოისტთა პირველობაზე საქართველოს წარმომადგენლებმა წარმატებას მიაღწიეს. აქ პირველობა მოიპოვა ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა, ხოლო ახმეტელმა დავით ბაგაურმა მეორე ადგილი დაიკავა.

ჩვენი ორი ძიუდოისტი წარმატებით გამოვიდა ნოვოპოლიცკში გამართულ საერთაშორისო ტურნირშიც, რომელიც უურნალმა „სოვეტსკეი პროფსოიუზმა“ მოაწყო. გორელებმა ენგურ გოგიჩაშვილმა და მიხეილ ხომასურიძემ ოქროს მედლები მოიპოვეს.

ძიუდოისტთა შეჯიბრებაზე თავი გამოიჩინეს ჩვენმა ქალებმაც, რომლებიც მონაწილეობდნენ სუშში გამართულ საერთაშორისო ტურ-

იხ. მე.2 გვ

ყველა წონაში გამარჯვებულები

მონრეალი. სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც კანადის ამ ქალაქში ჩატარდა, ამჯერად მხოლოდ 11 ქვეყნის ათლეტები მონაწილეობდნენ. საბჭოთა მეჭიდაველებმა ტრადიციულ წარმატებას მიაღწიეს — ოქროს მედლები მოიპოვეს ათივე წონაში.

მსოფლიო ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: ჯეიხუნ მამედოვი, გურგენ ტუტხალიანი, ანტონ ნოვიყოვი, გაგიკ ყაზარიანი, ევგენი ესინი, ვასილი შვაია, ჰუსეინ ხადუულაევი, ტაგირ აბდულაევი, ვლადიმერ გურინი, ვლადიმერ შკალოვი. აღსანიშნავია, რომ შკალოვმა მსოფლიო ჩემპიონის სახელი მეხუთედ მოიპოვა.

აქვე წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდი, რომლის წევრებმა ხუთი ოქროს, ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაასაკუთრეს. ჭარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: რახატ უმირბაევი, ევგენი სავუშკინი, ვადიმ ესოვი, ალექსანდრ დუნაევი და ანდრეი ზაიკა.

IV რესპუბლიკური ახალგაზრდული სპორტული თამაშები

ოლიმპიური ჩემპიონიც დაემატებათ

რესპუბლიკის ყოველ ნაკრებს, თუ იგი მნიშვნელოვანი საკავშირო შეჯიბრებისათვის ემზადება, წინასწარ, ცხადია, გარკვეულ მიზანს უსახავენ. შინაარსით ეს მიზნები იდენტურია: რამდენი შედალი უნდა მოიპოვოს და რა ადგილი დაიკავოს. განსხვავება მხოლოდ რაოდენობაშია, რომლის მიხედვით ყველა მსურველი იოლად დაადგენს გუნდის სიძლიერეს და პოტენციას.

ჩვენი სპეციალისტები თავად აღიარებენ, რომ ტყვიის სროლაში ძლიერი, სტაბილური ნაკრებით თავის მოწონება ძალზე შორეული პერსპექტივაა. ახლა კი იმითაც ვკმაყოფილდებით, თუ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე რამდენიმე მედალს მოვიპოვებთ, როგორც ეს გააკეთეს მაგალითად მარინა აბაკელიამ და პისტოლეტის მსროლელ გოგონათა სამეულმა ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებზე. ნაკრები კი გუნდურ ჩათვლაში IX ადგილზე გავიდა.

მიზეზთა ერთობლიობა, რომელიც საბოლოო შედეგს ქმნის, ტყვიის სროლაში ძირითადად არასპეციფიურია: ეს არის უკვე დამკვიდრებული ტრადიცია, მუშაობის სტილი, მწვრთნელთა კადრების სიმცირე, ბაზების ნაკლებობა. თუმცა ამ ყველაზე უმთავრეს მიზეზზე (ამაზე მწვრთნელები მიუთითებენ) მსროლელებმა ძველებური დაბეჯითებით აღარ უნდა იდავონ. ბოლო ხანს თბილისში ორი კარგი ბაზა აშენდა — არმიისა და პროფკავშირების.

დღევანდელი დღის უმთავრესი ამოცანა, საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის მზადებაა. 23-კაციანი მსროლელთა სრულფასოვანი გუნდი, რომლის გამოყვანის უფლება დებულებით აქვს ჩვენს რესპუბლიკას, საეჭვოა შეგროვდეს შეჯიბრებამდე (1989 წ. ივლისი) დარჩენილ დროში. ამ კუთხით გვინდა განვიხილოთ ეშერის „დინამოს“ სასროლეთზე გამართული მსროლელთა შეჯიბრება, რომელიც საქართველოს IV ახალგაზრდული თამაშების პროგრამით ჩატარდა. პირველ რიგში, ცხადია, ლიდერთა შედეგები გვაინტერესებს.

შეჯიბრებაზე ერთადერთმა სპორტსმენმა შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. ეს გახლავთ წარსულში ცნობილი მსროლელის სოსო ქუსოკაშვილის მოწაფე ზვიად ქიზიყურაშვილი, რომელმაც „გაქცეულ ტახზე“ სროლაში 585 ქულა (ძირითად სერიებში) მოაგროვა.

სულ ერთი ქულა დააკლდა ამ მიღწევამდე მარინა აბაკელიას (მწვრთნელი თამაზ მეგრელაშვილი) წოლელა სროლაში — 597 ქულა. ამ ნიჭიერმა მსროლელმა შეჯიბრებაზე ორი პირველი და ერთი მეორე ადგილი დაიკავა. სპორტის ოსტატის ნორმატივები შეასრულეს 17 წლის მსროლელებმა გიგა ღავთაძემ და გიორგი ნატრიაშვილმა. სამ დისციპლინაში გაიმარჯვა თბილისელმა არტემ ძამოევმა.

აბაკელიასა და ქიზიყურაშვილთან ერთად, გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება მსოფლიოს ექსჩემპიონი იუნიორთა შორის ანდრეი დოლგარიოვი, რომელმაც გაიმარჯვა ორ სახეობაში. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ოთხი თვით შეწყვიტა ვარჯიში სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანმა ბათუმელმა დარეჯან დუმბაძემ. იგი ახლახანს შეუდგა წვრთნას და იმედია, მომავალი წლის ზაფხულში კვლავ კარგ სპორტულ ფორმაში იქნება. შეჯიბრებამდე დარჩენილ დროში სხვა მსროლელებიც, ცხადია, ეცდებიან პოზიცია განიმტკიცონ გუნდში.

ჩვენ არაფერი გვითქვამს ჩვენს მთავარ იმედზე — ნინო სალუქვაძეზე. სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი 1969 წელს არის დაბადებული და უფლება აქვს იასპარეზოს საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე (დაიშვებიან 1968 და უმცროსი ასაკის სპორტსმენები). მისგან ყველანი, ცხადია, მედლებს ელიან.

გუნდური შედეგებისთვის ბრძოლა, კვლავ ვიმეორებთ, უფრო დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული. წინასწარ ხელის ჩაქნევას არავინ აპირებს, ამიტომ ახლა მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ახალი, შედარებით უცნობი სპორტსმენის გამოჩენას კოლექტივის საგარაუდო კანდიდატთა სიაში. ამ მხრივ და საერთოდ სასიხარულო ფაქტია, რომ პირველად მოხვდნენ პრიზიორთა შორის ფოთელი მსროლელები 16 წლის ანჯელა ბაქანიძე და 14 წლის (!) თემურ ნადარაია. ეს პირველ რიგში დაკავშირებულია ახალგაზრდა მწვრთნელ ნიკოლოზ მაღლაკელიძესთან, რომლის მონდომებულ მუშაობას უკვე გამოაქვს ნაყოფი. იმედად გვესახება ისიც, რომ ფოთში მას ხელს უწყობენ ადგილობრივი ხელმძღვანელები.

სამაგიეროდ, უსიამო გრძნობას იწვევს, როგორ აკლდება საქართველოს ნაკრებს ქუთაისელი მსროლელები. მათი ერთადერთი ტირი, რომლის რეკონსტრუქცია კარგა ხნის წინ უნდა დამთავრებულიყო, შენდება და შენდება...

გიორგი პავლიაშვილი.

ქვარცხლბეკი

გოგონები. მპ-5. 1. ე. თიკანაძე (ბათუმი) — 672; 2. ნ. გაკანაშვილი — 658; 3. ი. აქმიაკოვა (ორიგე — თბილისი) — 657.

პპ-2. 1. გაკანაშვილი — 461; 2. აქმიაკოვა — 454; 3. ვ. კვიცარიძე (ქუთაისი) — 453.

მშ-9. 1. მ. აბაკელია (თბილისი) — 597; 2. შ. ახალაძე (სოხუმი) — 582; 3. ა. ბაქანიძე (ფოთი) — 582.

პშ-4. 1. აბაკელია—475; 2. ს. არაშიძე — 472; 3. ხ. ბერიკაშვილი (ორიგე — თბილისი) — 464.

მშ-5. 1. ბერიკაშვილი — 652; 2. აბაკელია — 644; 3. ი. მელნიკოვა (თბილისი) — 640.

ჭაბუკები. მპ-6. 1. ა. კუჭუხიძე (სოხუმი) — 624; 2. ზ. თოთიაური 623; 3. ვ. ბულგაკოვი (ორიგე — თბილისი) — 614.

პპ-2. 1. ა. დოლგარიოვი (თბილისი) — 668; 2. კუჭუხიძე — 665; 3. მ. ბოსტოღანაშვილი (თბილისი) — 660.

მპ-5. 1. კუჭუხიძე — 588; 2. დ. გეევორქოვი (თბილისი) — 588; 3. ბულგაკოვი — 580.

მპ-8. 1. დოლგარიოვი — 690; 2. კუჭუხიძე — 681; 3. გეევორქოვი — 678.

მშ-9. 1. ა. ძამოევი (თბილისი) — 695; 2. ა. წულაია (სოხუმი) — 696; 3. ო. ოგოლენკო (თბილისი) — 685.

პშ-6. 1. ძამოევი — 672; 2. ოგოლენკო — 664, 3. თ. ნადარაია (ფოთი) — 642.

მშ-12. 1. ზ. ქიზიყურაშვილი (თბილისი) — 684; 2. მ. ღავთაძე (ქუთაისი) — 671; 3. გ. ბაღდასაროვი (თბილისი) — 666.

მშ-11. 1. ქიზიყურაშვილი — 383; 2. გ. ნატრიაშვილი (თბილისი) — 383; 3. ბაღდასაროვი — 382.

მშ-6. 1. ძამოევი — 1242; 2. ოგოლენკო — 1236; 3. წულაია — 1223.

გუნდური. 1. თბილისი — 2008 ქულა; 2. აფხაზეთი — 1249; 3. ქუთაისი — 811; 4. აჭარა — 658; 5. ფოთი — 288.

დროა შემუშავდეს სასწავლო პროგრამა

ვანში დამთავრდა IV ახალგაზრდული რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა.

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად ჩატარდა, 20 გუნდი მონაწილეობდა. თითოეული გუნდის შემადგენლობაში იყო ორი ჭაბუკი და თითო გოგონა.

სტარტზევე დაწინაურდა ქუთაისელთა ნაკრები, რომელსაც ლიდერობა შეჯიბრების ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან და საბოლოოდ 18,5 ქულით დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ოსტატობის კანდიდატები ხვიჩა სუპატაშვილი, ნუკრი მანაგაძე და ოსტატი ჰენრიეტა ლაგვილავა (მწვრთნელი — თ. ხარლამიდი). 14,5 ქულით II ადგილი ხვდა აფხაზეთის ნაკრებს (რამაზ ბაღათურია, არტემ თაბარიანი, ეკა კემულარია. მწვრთნელი — რ. ჭედია). 13,5 ქულით III ადგილზეა თბილისელთა კოლექტივი (ალეკო იოსელიანი, ალექსი ლაზარაშვილი, ნათია ჯანჯღავა. მწვრთნელი — რ. მეგრელაძე).

გვესაუბრება ტურნირის მთავარი მსაჯი, რესპუბლიკის სპორტსახკომის დასავლეთ საქართველოს ზონის კონსულტანტ-ინსტრუქტორი, ოსტატი **გურამ მაჭავარიანი:**

— შეჯიბრებაში ფაქტობრივად ჩვენი ხვალინდელი ცვლა მონაწილეობდა და უნდა აღინიშნოს, რომ მან არცთუ სახარბიელო შთაბეჭდილება დატოვა. მონაწილეთა უმრავლესობა ცუდად ერკვევა სტრატეგიასა და პოზიციურ თამაშში, მოზარდები ძალზე მოიკოჭლებენ ენდშპილში. ამიტომაც არ გათამაშებულა ტრადიციული პრიზები საუკეთესო პარტიისთვის, ლამაზი კომბინაციისა და ენდშპილისთვის. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ მწვრთნელები მხოლოდ სადებიუტო სისტემებზე ამახვილებენ ყურადღებას. როგორც ჩანს, დროა ჩატარდეს რესპუბლიკის მწვრთნელთა სემინარები და შემუშავდეს ერთიანი საკადრაკო სასწავლო პროგრამა.

ელიზაბედ ოჭროპირიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

სასიხარულო ფაქტი

ერთადერთი ბიბლიოთეკა ზრუნვაა

პირდაპირ შეფასებით დავიწყებთ — თბილისის კიროვის რაიონის 145 ბაგა-ბაღი ერთ-ერთი საუკეთესოა მათ შორის, რომლებზეც სამაგალითო ითქმის. აქვს თუ არა ამ სამაგალითო სკოლამდელ დაწესებულებას სანიმუშოდ ორგანიზებული ნორჩების ფიზიკური აღზრდა, რასაც ამ დაწესებულებების დებულება ითვალისწინებს? აქაც მოკლედ ვიტყვით — აქვს. თუმცა ბაგა-ბაღს სპორტული დარბაზი არ გააჩნია, აქ მაქსიმალურად იყენებენ სხვა სათავსოებს, მათ შორის მუსიკის ოთახს. კარგ ამინდში, ცხადია, ბავშვებს სუფთა ჰაერზე, შესანიშნავ სპორტულ და გასართობ მოედნებზე ამეცადინებენ. ყველა მოზარდს აქვს სპორტული ფორმა (ოღონდ ეგაა, მშობლები და აღმზრდელები პატარა ზომის სპორტული ფეხსაცმელების დეფიციტზე გამოთქვამენ საყვედურს). აღმზრდელებს შესანიშნავად აქვთ ათვისებული ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკა. სხვათა შორის, მეცადინეობები ტარდება ემოციური დატვირთვით, მუსიკის თანხლებით. ბაგა-ბაღი ქართულ-რუსული კონტინგენტის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. მისი დირექტორი ლილია ბიტენსკაია ქართულად გვესაუბრება: ჩვენთან ექვსი ქართული ჯგუფია და სამი რუსული, სადაც სხვადასხვა ეროვნების მოზარდები არიან ჩარიცხული. იცით, ბავშვების შეგობრული სულისკვეთებით აღზრდაში დიდი როლი ეკუთვნის სპორტს, თამაშებს. აი, სპორტული დარბაზი რომ გვქონდეს, რამდენიმე ჯგუფს ერთად ვამეცადინებდით. საჭიროა საცურაო აუზიც, ტერიტორია გვაქვს, ადრე, ეს ბაზები პროექტით გათვალისწინებული ყოფილა, მაგრამ არ გაშენებულა.

დირექტორის გულისტკივილს ჩვენც ვიზიარებთ, კარგი იქნებოდა თავის დროზე ფინანსების ნაკლებობა არ გამხდარიყო დაპროექტებული სპორტული ბაზების მშენებლობის გეგმიდან ამოღების მიზეზი. ჩანაფიქრი გვიან მაინც უნდა განხორციელდეს. ამას მოითხოვს ნორჩების ჯანმრთელობის ინტერესები. აი, ადრე დაშვებულ გულგრილობას ნამდვილად არ შეეფერება ამ წერილის რუბრიკა.

ხალიჩაზე გამოვიდა 360 თბილისელი ჭაბუკი

ნოემბრის მიწურულს თბილისში ჩატარდა ქალაქის პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ორ ასაკობრივ (1972-1973 და 1974-1975 წწ. დაბადებულნი) ჯგუფში. ტურნირი მართლაც მასობრივი იყო: მასში 360 ჭაბუკი მოჭიდავე მონაწილეობდა.

გამარჯვება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოიპოვეს: 1972-1973 წწ. დაბადებულებმა — ვანო ყუშიტაშვილმა, ზვიად ხარშილაძემ, ავთანდილ მიქიაშვილმა, ზურაბ ქაფიშვილმა, ფოგელ ჯულაყიძემ, დავით ვადაჭკორიამ, დავით მაჭარაშვილმა, გიგა გიგაურმა, გიორგი ბუზარიაშვილმა, ვასილ ყიფშიძემ, ბესიკ ახალშენიშვილმა, ლაშა ლომიძემ.

1974-1975 წლებში დაბადებულთა შორის წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაისაკუთრეს: როსტომ მაჭარაშვილმა, გიორგი ქერდიყოშვილმა, დავით ბიჩინაშვილმა, ჯონი სამხარაძემ, ზურაბ ჭიღლაძემ, გოგიტა ხაბელაშვილმა, ლევან ყაველაშვილმა, იოსებ ლეკიაშვილმა, ალექსანდრე კახნიაშვილმა, გიორგი სულთანიშვილმა, გიორგი ტორჩინავამ, კახა შოშიტაშვილმა და აკაკი ლოდიამ.

ზამთრის დაჯილდოება

შეჯიბრების მიწურულს ჩხოროწყუში ტრადიციულად იმართება შრომის ზეიმი. წელს იგი კვლავ მოეწყო, ამ დღეს ყველა სპორტული ბაზა სრული დატვირთვით მუშაობდა.

სპორტულ კომპლექს „სიჭაბუკეში“ ჩატარდა შეჯიბრება მინიფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცენტრალურ ტრასაზე გაიმართა კროსი, ესტაფეტა, საკადრაკო კლუბ „ახალგაზრდულში“ სპორტის ამ სახეობის მოყვარულები მიუსხდნენ დაფებს, სტადიონზე ჩატარდა ფინალური შეჯიბრება ფეხბურთში რაიონის თასზე.

ამ ასპარეზობაში გაიმარჯვეს „სამეგრელო“-2 ფეხბურთელებმა, რომლებმაც დამატებით დროში დაამარცხეს სოფელ ზუმის საქართველოს სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი.

დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულმა ჭიდაობამ, შეჯიბრებას მრავალი მაყურებელი დაესწრო.

ნუგზარ ქვანია.
(„ილელის“ საკ. კორ.).
ჩხოროწყუ.

XI

თვის მონაგარი

ღარიბი კალენდრის მიუხედავად

(დასასრული)

ნირში. აქ ისინი, გუნდურ პირველობაში, მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულს კრემატორსკის ნაკრებს. სამაგიეროდ, საქართველოს წარმომადგენლებმა პირად პირველობაში სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და შვიდი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრეს. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ თეა ჩანტლაძე, მაია გობეჯიშვილი და ია კარსანიძე. მეორე ადგილები დაიკავეს ქეთევან ნატროშვილმა და ქრისტინა ერანოსიანმა, ხოლო მესამე— ეკა არშაკუნიმ, ელენე ქელიხაშვილმა, თამარ ჩანტლაძემ, სედა აკოფოვამ, ირმა მელიქიშვილმა, ნინო მარჯანიშვილმა და ნინო ჭუცნიაშვილმა.

ლენინგრადში სამბისტთა საკავშირო თასის გათამაშებაში კარგად გამოვიდა გორელი ჯემალ მჭედლიშვილი, რომელმაც ყველას აჯობა.

სამარკანდში გამართულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში და ჩემპიონატში ძალოსნობის ცალკეულ სახეობებში დიდი სიხარული მოგვიტანა კახი კახიაშვილმა. მან პირველი ადგილიც დაიკავა და აკვარაში იუნიორთა მსოფლიო რეკორდიც დაამყარა.

თბილისელმა მოკრივემ რუდიკ კაზანჯიანმა ყველას აჯობა ყარაგანდაში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში. ამ შეჯიბრებაში ჩვენმა მოკრივეებმა კიდევ ორი საპრიზო ადგილი დაიკავეს. თბილისელი ნიკოლოზ სეთური მეორე იყო, ხოლო ფოთელი იური სავჩენკინი მესამე.

ჩვენი სპორტსმენები კარგად გამოვიდნენ შურმანსკში გამართულ ევროპის სამოყვარულო კრივის ასოციაციათა კავშირის საპატიო პრეზიდენტ ნიკოლოზ ნიკოფოროვდენისოვის თასის გათამაშებაშიც. აქ ქუთაისელი მ. ხურციძე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო რუსთაველმა ვ. აბსოვმა მეორე ადგილი დაიკავა.

ბათუმში გამართულ ჭაბუკ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის ისრაფილ ჯინჭარაძის პრიზზე ჩატარდა, ყველას მახპინძლებმა აჯობეს.

და ბოლოს, ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდ „ტორპედოს“ შესახებ. ქუთაისელები ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ საკავშირო პირველობის I ლიგას დაუბრუნდნენ.

რა თქმა უნდა, ნოემბერში საქართველოს სპორტსმენებმა სხვა ნარმატებებიც მოიპოვეს, მაგალითად, მოკრივეებმა, მოჭიდავეებმა, ფეხბურთელებმა, ყველა ამ გამარჯვებას მათ მიაღწიეს ნორჩთა შეჯიბრებებში, რომელთა გახსენება შორს წაგვიყვანს.

მოკრივეთა შეჯიბრება ლენინგრადშიც გაიმართა. აქ თავი მოიყარეს ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილი ახალგაზრდული საკავშირო ტურნირის მონაწილეებმა. ნევისპირა ქალაქის რინგიდან გამარჯვებით დაგვიბრუნდა თბილისელი თამაზ ბუაძე, რომელმაც ფინალში თანაგუნდელი ალბერტ ოჩიგავა დაამარცხა. გამარჯვებას მიაღწია თბილისელმა მიხეილ ლეუკავამაც. ფინალში გავიდა ასევე თბილისელი ვაგიფ აბასოვი, მაგრამ მას მეტოქე არ გამოუცხადდა და გამარჯვება მიეკუთვნა. წარმატებას მიაღწია კიდევ ერთმა თბილისელმა — ზაალ მეგრელიშვილმა, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

საინტერესოა, რომ ყველა ეს მოკრივე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია.

ჩემი მეგობარი ნოდარი



— თქვენი სახელი და გვარი?— მკითხა პროფესორმა.

— ბარამძე თეიმურაზი, — ვუპასუხე პირველ კითხვაზე.

პროფესორმა პასუხი უბის წიგნაკში ჩაიწერა.

— თქვენი? — მიუბრუნდა ახლა გურამს.

— ჭიჭინაძე გურამი, — ასევე ყოჩაღად უპასუხა გურამმა...

— ჩემს ლექციებს თუ ესწრებოდი?

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო! — მეწყინა მე.

— რატომღაც არ მახსოვხართ, თქვენ კი საერთოდ არ გიცნობთ!— მიუბრუნდა იგი გურამს.

— ჩვენ გიცნობთ შეხანიშნავად, პატივცემულო ლექტორო, თქვენ კახიანე გოგიჩაიშვილი ბრძანდებით, ყველახათვის საყვარელი პროფესორი... თქვენ ჩვენი სიამაყე ხართ, თქვენს ლექციას ვინ გააცდენს, თქვენს ლექციებს კი არ ვიწერთ, ვულაპავთ, — ჩავარდა ექსტაზში გურამი.

ნოდარ დუმბაძე, „მზიანი ღამე“.

მე ოთარ ჭიჭინაძის სტუმარი ვარ — გურამ ჭიჭინაძის პროტოტიპისა. დიახ, ეს სწორედ ის ოთარ ჭიჭინაძეა, შარშან ნოემბერში 63 წლის კაცმა „მიონის“ საცურაო აუზში 14 საათის განმავლობაში შეუსვენებლად 37 კილომეტრი რომ დაფარა. მაგრამ ამჯერად ბატონ ოთარს ვეწვიეთ, როგორც გამოჩენილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის მეგობარს.

— მე და ნოდარი 1945 წელს ჩავირიცხეთ უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, ნოდარი— სოფლის მეურნეობის, მე კი — ვაჭრობის ეკონომიკაზე. საერთო ლექციები 86-ე აუდიტორიაში გვქონდა. 1946 წელს მოსკოვში საკავშირო ფიზკულტურულ პარადზე გახლდით და ამის გამო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის პრაქტიკა დამრჩა ჩასაბარებელი. რაღაც მიზეზით იმავე საგნის ჩაბარება ვერც ნოდარს მოესწრო და ამის გამო ერთად მოგვიხდა გამოცდაზე გასვლა. აი, სწორედ მაშინ გაიმართა ჩემსა და ლექტორს შორის „მზიან ღამეში“ აღწერილი ეს დიალოგი. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ნოდარი თავის ნაწარმოებში თითქმის სიტყვასიტყვით ჩართავდა ჩემს ნათქვამს, მაგრამ, თქვენ, ცხადია, ახლა ნოდარ დუმბაძის ფიზკულტურისა და სპორტისადმი დამოკიდებულება უფრო გაინტერესებთ. ვეცდები გავიხსენო. პირველივე კურსიდან მე ძალოსნობაზე დავდიოდი. სექციას ხელმძღვანელობდა ქართული ძალოსნობის ამაგდარი და გამოჩენილი სპორტსმენი კოტე ზაუტაშვილი. და აი, ერთხელ ბიჭები შევუჩნდით ნოდარს, ჩვენთან ერთად ეკლო ძალოსნობაზე. ნოდარი უკვე მეორე კურსიდან უნივერსიტეტში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც იუმორის დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. იგი აჩიკო ერგემლიძესთან და ვახტანგ ელბაქიძესთან ერთად ხშირად გამოდიოდა სტუდენტური თვითშემოქმედების საღამოებზე საკუთარი ლექსებითა და სკეტჩებით. ძალოსნობაზე სიარული რომ შევთავაზეთ, მაინცდამაინც მტკიცე უარი არ უთქვამს. იმ პერიოდში [illegible] ეც, კარგა ხანს, ნოდარი საკმაოდ გამხდარი იყო და ამანაც გადააწყვეტინა სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში. ძალოსნობის დარბაზი რექტორის კაბინეტის ქვეშ იყო. შტანგის დაცემის ხმა კილომეტრზე ისმოდა და, ცხადია, ყველაზე მეტად უნივერსიტეტის მაშინდელ რექტორს, ბატონ ნიკო კეცხოველს აწუხებდა, მაგრამ იგი ხმაურს საოცარი სიმშვიდით იტანდა — ოლონდ სტუდენტები ფიზიკური ვარჯიშით ყოფილიყვნენ დაკავებული. ფიზკულტურისა და სპორტის ასეთი ქომაგი, მე მგონია, უნივერსიტეტს დიდხანს აღარც ჰყოლია.

— სპორტისადმი ბატონი ნიკოს უსაზღვრო სიყვარულის ერთ-ერთ დასტურად ალბათ ისიც გამოდგება, რომ მისი ბრძანებით ოთარის მთელი ტანი გადაღებული, ნატურალური ზომის ფოტოსურათი წლების განმავლობაში ეკიდა უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრასთან. ბატონი ნიკო ყველას მოუწოდებდა, სტუდენტი ასეთი აგებულებისა უნდა იყოსო, — საუბარში ჩაერია ბატონი ოთარის მეუღლე, კინოსტუდია ქართული ფილმის გაერთიანება „მსახიობის“ დირექტორი ლილი ხუბულაშვილი.

— ერთი სიტყვით, უნივერსიტეტში შექმნილმა ფიზკულტურისა და სპორტის ერთგვარმა ბუმმაც გადააწყვეტინა ნოდარს ძალოსნობაზე ევლო. ჩვენ უმრავლესობა უკვე საკმაოდ გამოცდილები ვიყავით და ნოდარმა ბეჯითად, როგორც ახალბედამ, ცხადია, ჯერ დაბალი წონებით დაიწყო ვარჯიში. არც ლიტერატურულ წრეს ღალატობდა, მაგრამ სამი თვის თავზე, ცოტა რომ მოღონიერდა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, მოულოდნელად ვარჯიშს თავი დაანება, ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ სავარჯიშო პირობები არ გვქონდა, მაგრამ, ცხადია, უფრო იმიტომ მიატოვა ძალოსნური ფიცარნაგი, რომ ლიტერატურულ საქმიანობას მეტი დრო სჭირდებოდა.

ამის შემდეგ ნოდარი ხშირად შემოგვევლიდა ხოლმე, ხანდახან შტანგაზეც წაუცდებოდა ხელი, მაგრამ ეს იყო და ეს.

— უცნაური, [illegible] ჩანს, მაშინ [illegible] ვფიქრობ, ბევრ ადამიანს, ბევრ ვიცნობ, ხშირად ვუყურებდით ხოლმე ძალოსნების ვარჯიშს. ამის გამო ნოდარი დაგვცინოდა — მთელი ახალგაზრდობა გარეთ დასეირნობს, თქვენ კი დამდგარხართ და შტანგის რახარუხს აშტერებინებთ თავსო.

ქალბატონმა ლილიმ გვაჩვენა ორმოცდაოდე წლის წინ გადაღებული ფოტო. ფერშეცვლილი სურათიდან ამხანაგებში ჩამდგარი, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ნოდარი თავისი ჩვეული სევდიანი ღიმილით შემოგვყურებს.

— ეს სურათი საპირველმაისო დემონსტრაციის დაწყების წინ არის გადაღებული 1948 თუ 1947 წელს. მასობრივი სპორტული გამოსვლები მაშინ დიდი მოწონებით სარგებლობდა. ბატონი ნიკო კეცხოველი უნივერსიტეტის კიბის თავში იდგა და იქიდან გვადევნებდა თვალყურს, როგორ ვემზადებოდით პარადისთვის. მაშინ ჩვეხივე სიმღერის აკომპანემენტით ვასრულებდით ვარჯიშებს, — გვითხრა ქალბატონმა ლილიმ.

— სპორტის ყველა სახეობა თითქმის ერთნაირად უყვარდა ნოდარს, — გააგრძელა ბატონმა ოთარმა, — ზოგჯერ ღონისძიებებში თვითონაც ჩაებმებოდა ხოლმე. ყოველ წელიწადს, ტრადიციულად, ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები ბაგირის გადაძალვაში ვეჯიბრებოდით იურისტებს. ნოდარიც, რა თქმა უნდა, ჩვენ შორის იდგა და ბაგირს თავდაუზოგავად ეწეოდა. ყოველთვის ჩვენ ვიმარჯვებდით. ყოველი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ნოდარი „გვიმტკიცებდა“: მე რომ მთელი ძალით არ გამომეწია ბაგირი, თქვენ ვერაფერს გახდებოდითო. სტუდენტობის დროს ხშირად ვაწყობდით ლაშქრობას. ნოდარი აქაც ყოველთვის ჩვენ შორის იყო და თავისი ჩვეული იუმორით „გზას გვიმოკლებდა“.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ნიკო კეცხოველის სურვილით ნოდარი დარგობრივი ეკონომიკის კათედრაზე დატოვეს, მე —

იხ. მე-4 გვ.

მეჩვიდმეტედ!

(დასასრული)

ეძლეს მხოლოდ რამდენადმე შეემცირებინათ სხვაობა — 29:33. ეტყობა, წინა დღის დაღლილობამაც იჩინა თავი, როდესაც ჩვენმა გუნდმა ძნელი ბრძოლა მოუგო ახალგაზრდულ ნაკრებს.

ექსპერეს-ინფორმაცია

გორის კოპალეიშვილი, საპატიო სპორტის ოსტატი:

— ვფიქრობ, რომ ჩვენი გუნდი მომავლის გუნდია და ორ-სამ წელიწადში საკმაოდ სოლიდურ კოლექტივად იქცევა. მინდა გამოვყო პერსპექტიული მოთამაშეები — 17 წლის მეკარე ერაძე, მისი თანატოლი გარდაბნიდან, ხაზის მოთამაშე ჩაჩანაშვილი, 19 წლის ინსაიდი გია თხილავა (მისი სიმაღლე 1 მეტრი და 8 სანტიმეტრია), 18 წლის მეკარე ირაკლი კენჭაძე, მისი ტოლი, ინსაიდი ბესო ოსკოპელი. ამ უკანასკნელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის წევრია (ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობენ), ამ გუნდს მესამე წელიწადია მე ვავარჯიშებ. ცხადია, ბიჭებს ბევრი მუშაობა დასჭირდებათ, რომ ხელბურთის ღირსეული ოსტატები გახდნენ.

შეჯიბრების უკანასკნელი დღე ქაბუკთა ნაკრებისა და პოლონეთის გუნდების მატჩით დაიწყო. ასპარეზობა საკმაოდ მწვავე გამოდგა. პოლონელებმა მოიგეს ტაიმი 18:14, მაგრამ მაინც დამარცხდნენ ორი ბურთის სხვაობით — 29:31. ეს ჭაბუკთა ნაკრების პირველი გამარჯვება იყო, რომელსაც მისთვის მაინცა და მაინც არაფერი მოუტანია — გუნდი უკანასკნელ ადგილზე დარჩა.

ბოლო მატჩში ესპანეთის გუნდი საქართველოს ნაკრებთან გამარჯვების შემოხვევაში მეორე ადგილს ისაკუთრებდა. თორდიამ და ჟუკმა თითოჯერ აიღეს მეტოქის კარი — ორჯერ გაქვითეს ანგარიში. ეს იყო და ეს. აქედან მოყოლებული წინსულ სტუმრები იყვნენ. ტაიმი მათ სამი ბურთით მოიგეს (11:8), მატჩი კი — 11 (28:17).

ექსპერეს-კომენტარი

ზაზა დოლიძე, სპორტის ოსტატი:

— მეც მტკიცედ მწამს, რომ ჩვენი გუნდი ორ წელიწადში „დაიწყებს თამაშს“. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ დღეს ნიჭიერი ხელბურთელებია გუნდის შემადგენლობაში. კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ბევრი მათგანი ჩვენი ახალგაზრდა მწვრთნელის რევაზ ჭანტურიას მიერაა აღზრდილი. ახლა საჭიროა დრო, დაუღალავი ვარჯიში, რაც შეიძლება მეტი შეხვედრების ჩატარება. ყოველივე ეს სასურველ გავლენას იქონიებს ტექნიკაზე, ბიჭები შეიძენენ გამოცდილებას.

ამრიგად, თბილისის 21-ე საერთაშორისო ტურნირი ისტორიად იქცა. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად ესპანეთისა და დასავლეთ გერმანიის გუნდები გავიდნენ.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მოიპოვა 20 წლის ვლადისლავ კალარაშმა (სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები), რომელმაც 27 ბურთი გაიტანა. ერთი ბურთით ნაკლები (26) გაგზავნეს მეტოქეთა კარში ქვეყნის პირველი გუნდის მოთამაშეებმა ვიაჩესლავ ატავინმა, ვალერი გოპინმა, ვადიმ მურზაკოვმა და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა, 21 წლის ვლადიმერ ჟუკმა.

საუკეთესო გუნდებსა და მოთამაშეებს პრიზები გადასცა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ, საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმრეწვის“ გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ცხაკაიამ.

ოთარ ნოზაძე.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრკ-I	5	0	0	148-97	10
ესპანეთი	3	1	1	118-116	7
გფრ	2	2	1	125-102	6
პოლონეთი	1	1	3	122-139	3
საქართველო	1	0	4	107-151	2
სსრკ-II	1	0	4	124-149	2

სურათებზე: სსრკ-ის (მარცხნივ) და საქართველო — ესპანეთის ნაკრები გუნდების შეხვედრათა მომენტები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ბელგიელი, რომელსაც იტალიელის გული აქვს და ფრანგების ემსახურება

ინტერვიუ ენცო შიფოსთან

◎ ბოლოს და ბოლოს ვინ არის შიფო, იტალიელი თუ ბელგიელი?

— დავიბადე და გავიზარდე ბელგიაში, თუმცა გულით იტალიელი ვარ.

◎ რა მოგიტანათ ბელგიის ქვეშევრდომობამ?

— ამ ქვეყნის მოქალაქეობამ საშუალება მომცა ევროპის ჩემპიონატის ფინალში მეთამაშა. როგორც ფეხბურთელი სწორედ მაშინ გამიცნეს.

◎ ბევრი ახალგაზრდა ბელგიელი სტოვებს თავის ქვეყანას და უცხოეთში მიემგზავრება სათამაშოდ. რატომ ხდება ასე?

— უცხოეთის კლუბები შეუდარებლად მეტ ფულს სთავაზობენ ჩვენს ფეხბურთელებს.

◎ უკვე კარგად იცნობთ სამი ქვეყნის პირველობას. ხომ არ შეადარებთ ბელგიის, იტალიისა და საფრანგეთის ჩემპიონატებს?

— იტალიაში უმაღლესი კლასის ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ იქ მთავარია მოგება, გოლის გატანა. გარდა ამისა, პრესა და მაყურებლები მუდმივად ერევიან კლუბების შინაურ საქმეებში. ამ მხრივ ბელგიასა და საფრანგეთში თამაში უფრო ადვილია. ხარ თავისუფალი და საშუალება გაქვს ბოლომდე გამოავლინო შენი შესაძლებლობები.

◎ რატომ გადახვედით „ინტერიდან“ „ჰორდოში“, ნუთუ ამის გამო?

— ოცდაერთი წლისა ვარ. ამ ასაკში იტალიის ლიგაში ლიდერობა რთული საქმეა. ფრანგებთან ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, მერე რა მოხდება არ ვიცი, მაგრამ საბოლოოდ უსათუოდ იტალიაში დავბრუნდები.

◎ როგორი ურთიერთობა გაქვთ „ჰორდოში“ ტიგანასთან?

— მეამაყება, რომ ასეთი ფეხბურთელის გვერდით ვდგამაშობ. ტიგანა მეტწილად დაცვით ფუნქციებს ასრულებს. მე კი შეტევაში მიყვარს თამაში. ასე რომ ჩვენ, ფაქტიურად, ერთმანეთს ვავსებთ.

◎ პლატინის ნაკრების მწვრთნელად დანიშვნას რა რეაქცია მოყვა საფრანგეთში?

— ყველას სჯერა, რომ პლატინი საფრანგეთის ნაკრებს ძველ სახელს დაუბრუნებს. ჩემის აზრით მისი პირველი ნაბიჯები გამართლებული არის. თუნდაც იმის გამო, რომ ტიგანა ისევ მიიწვია ნაკრებში.

(სპ. ინფ.)

მსოფლიო ჩემპიონატი გაძვირდა

ამას წინათ გაზეთებში გამოჩნდა ცნობა, რომ 1990 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორებს განზრახული აქვთ გააძვირონ ფინალური ეტაპის მატჩებზე დასასწრები ბილეთების ფასი. გულშემატკივრებს, რომლებიც თამაშების სანახავად მოვლენ სტადიონზე, ხარჯი ელით.

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ყველაზე ძვირი იქნება ამ შეჯიბრებათა ისტორიაში: დანომრილი დასაჯდომი ადგილი საშუალოდ 56 დოლარი ეღირება. შეგახსენებთ, რომ უცხოეთის სტადიონებზე ბევრი [illegible] ადგილი მხოლოდ შესასვლელია, სადაც მაყურებელი ფეხდგომელა უყურებს თამაშს.

ბილეთების ეს გაძვირება მხოლოდ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ნება-სურვილი არაა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია დაეთანხმა კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას. მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ბილეთები გაიყიდება იანვარში, აქედან ნახევარი იტალიაში და მეორე ნახევარი — მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გასაღდება. მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი ვარაუდობს ფინალური თამაშების საფასურად ასტრონომიული მოგება მიიღოს — 194 მილიარდი ლირა.

ჩემი მეგობარი ნოდარი

(დასასრული)

ფიზკულტურის კათედრაზე. ერთი წლის შემდეგ ნოდარმა მითხრა, ჩემგან მეცნიერო შუშაკი არ გამოვა, აქედან უნდა წავიდეო. იმავე წელს მეც წამოვედი უნივერსიტეტიდან და ოთხ წელიწადს ვიმუშავე მაშინ უაღრესად ცნობილ სპორტსაზოგადოება „პიშჩევიკში“ ძალოსანთა მწვრთნელად. მაგრამ, ცხადია, ჩვენი გზები ამით არ გაყრილა. ნოდარი უაღრესად თავმდაბალი და კეთილშობილი ადამიანი იყო, მეგობრებისთვის თავს გაწირავდა. კიდევ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. უნივერსიტეტი რამდენიმე წლის დამთავრებული გვქონდა, თბილისის ზღვაზე პირველი რესტორანი გახსნეს და სტუდენტობის მეგობრები ვეწვიეთ. ეს ის დრო იყო, როდესაც ხრუშჩოვის გამოცემული ამნისტიით პატიმრები გაათავისუფლეს. უკან საბარგო მანქანით ვბრუნდებოდით. სამი ახალგაზრდა კაცი გადაგვიდგა წინ — ქალაქში ჩაგვიყვანეთო, კუკიის სასაფლაოსთან მანქანა გაგვაჩერებინეს და მოულოდნელად მძღოლს დაუწყეს ცემა. ჩვენი მეგობარი ალიოშა ენდელაძე გადახტა მისაშველებლად, მაგრამ ხულიგნები ახლა მას მისცივდნენ. უცებ მოჩხუბრებში ნოდარიც დავინახეთ, თავდაუზოგავად რომ იქნევდა მუშტებს. როგორც მოგვიანებით გავარკვიეთ, მას შეუმჩნევია რომ ერთ-ერთ თავდამსხმელს ხელში დანა ეპირა და დაუფიქრებლად გადამხტარა მეგობრის მისაშველებლად. ყველაფერი ეს მანქანიდან დაახლოებით ოც მეტრში ხდებოდა. ბინდის გამო უმეტესობამ სწრაფად ვერ ავუღეთ ალღო მდგომარეობას. შემდეგ, ცხადია, ჩვენც მივეშველეთ, სამივე თავზე ხელაღებული შევბოჯეთ და მილიციას ჩავაბარეთ.

— 1962 წლიდან ცურვაში დავიწყე ვარჯიში. ათი წლის შემდეგ ახალი ათონიდან სოხუმამდე 25 კილომეტრი გავცურე. სოხუმის ტელევიზიის საკუთარმა კორესპონდენტმა ჩემი ეს გაცურვა ფირზე აღბეჭდა. თბილისში რომ ჩამოვედი, ტელევიზიის რეჟისორმა მთხოვა უფრო დიდი გადაცემა გავაკეთოთ თქვენს შესახებო. თან შემომთავაზა, ნოდარ დუმბაძესთან და რამდენიმე სხვა მეგობართან ერთად უნივერსიტეტის ეზოშიც გადაგიღებთო. მეორე დღეს მე, ნოდარი, ვახტანგ ელბაქიძე და ალიოშა ენდელაძე გაგვამწკრივეს და უნივერსიტეტის წინ გამოგვატარეს. ნოდარი შემდეგ ასე იგონებდა ტელევიზიის ამ გადაცემას: გადაღება რომ მთხოვეს, კარგად ჩავიცვი, გამოვეწყე, ვიფიქრე, რთარს რაიმეში გამოვადგები, ასეთი სახელოვანი მწერლის გვერდით რომ დაინახავენ, ცხოვრებაში წაადგება-მეთქი. დიქტორმა კი ცივი წყალი გადამასხა: — შენ ედეთ, ეს ოთხი კაცი რომ მოდის, ყველა თანატოლია, მარა ეს სამნი როგორ დაბერებულები და დაჯღარეულები არიან, ოთარ ჭიჭინაძე კი რა ელეგანტურად და ლამაზად გამოიყურებაო. აი, რას ნიშნავს სპორტი, როგორ აკეთილშობილებს და ალამაზებს ადამიანსო. ოთარმა საკუთარი რეკლამისათვის საქვეყნოდ მოგვჭრა თავიო.

მარათონულ ცურვაზე რომ გადავედი, ნოდარს ძალიან აინტერესებდა ჩემი შედეგები. სხვათა შორის, თვითონაც კარგად ცურავდა, ზღვაში კილომეტრზე მეტ მანძილზე შედიოდა. ერთხელ ქუთაისიდან ჩავედი გულრიფშში, ნოდარის ადგილზე. აგვისტო იყო. ნოდარი „მარადისობის კანონზე“ მუშაობდა. ეზოში მარტო დასეირნობდა. რომ დამინახა, მითხრა: ოთარო, არ მითხრა ახლა, უნდა ვიცურაოო, „მარადისობის კანონს“ ვწერ და ერთი თავი უნდა მოგიყვეო. იცოდა, ზღვაში რომ შევიდოდი, სამ-ოთხ საათს ვცურავდი. მე ვეუბნები, ცოტა გავგრილდები, ამოვალ და უფრო ყურადღებით მოგისმენ-მეთქი. მაგრამ ეს ცოტა არ გამოვიდა, სამ საათს ვიყავი წყალში, ნოდარს, პირველი ინფარქტი გადატანილი ჰქონდა და მზეს ერიდებოდა, ამიტომ ხის ძირას, ჩრდილში დამსვა ეს შეცეებული კაცი და ორ თუ სამ საათს მიყვებოდა მღვდლისა და ბაჩანას დიალოგს. რომ დაამთავრა მითხრა:

— ახლა ოთარო, ჯაფარიძე ურიადნიკმა რომ გამოიცვალა ადგილი, მეც ისე უნდა გამოვიცვალო — გურრაიში უნდა გავგზავნილო „მარადისობის კანონიო“. ჩვენი ეს ლიტერატურული საღამო იმით დამთავრდა, რომ კუნთების ანთება დამემართა და კარგა ხნით გამოვედი მწყობრიდან. მაშინ დავწერეთ, რომ ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს.

1980 წელს კარგ სპორტულ ფორმაში ვიყავი. მინდოდა ბათუმიდან ფოთამდე გამეცურა და მამედ ბედიას რეკორდი მომეხსნა, რომელიც მან 1910 წელს დაამყარა, მაგრამ მესაზღვრეების და ზოგიერთი ბიუროკრატი მოხელის „წყალობით“ უფლება არ მომცეს გამეცურა. ეს რომ ნოდარმა გაიგო, მისაყვედურა: ჩემთვის რომ გეთქვა, შენს გაცურვას სწორედ იმ კაცს დავასწრებდი, ვისაც პირდაპირ ეხება მსგავსი საკითხების გადაწყვეტაო.

ნოდარს ძალიან უყვარდა ბუნების წიაღში ყოფნა, განსაკუთრებით კი თევზაობა. ბათუმის გემთმშენებლებმა ნავი აჩუქეს, გულრიფშში თვითონვე მიეჯღდებოდა ხოლმე ნიჩბებს და საკმაოდ დიდი მანძილით შორდებოდა ნაპირს. რაც შეეხება სპორტსმენებთან მეგობრობას, ნოდარი ახლოს იყო ფეხბურთელ კარლო გაგნიძესთან და კალათბურთელ ვაჟა ყოენტანთ. ჰო, მართლა, დამავიწყდა მეთქვა, 60-იან წლებში იგი თბილისში სანაპიროზე მდებარე ძველ საცურაო აუზზე დადიოდა. აი, ყველაფერი, რის გახსენებაც მოვახერხე.

საუბარი ჩაიწერა
ჯემალ კასრაძემ.

ნაგზავი, ეოგზავი

მოსკოვი. როგორც ვიუწყებოდით, კალათბურთელ ვაჟთა განახლებული 56-ე საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი ადგილობრივ და თბილისის დინამოელთა შორის ჩვენი გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. უაღრესად მძაფრი და დაძაბული იყო ამ კოლექტივების განშეორებითი შეხვედრაც ერთი დღის შემდეგ.

პირველი ტაიმი თბილისელმა კალათბურთელებმა მოიგეს — 48:46. ძალები თანაბარი იყო, მეორე ნახევარშიც, რომლის დასკვნითი ნაწილი მოსკოველებმა უკეთ ჩაატარეს და გაიმარჯვეს — 96:94.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 დეკემბრისთვის

ცსკა	8	8	0	854-663	16
ასკ (ალმა-ათა)	10	6	4	999-967	16
„სტრ.“ (კიევი)	8	7	1	754-687	15
„ხპარ.“ (ლდ.)	10	5	5	799-845	15
„დინ.“ (მოს.)	10	5	5	988-971	15
„სტატ.“ (ვილ.)	10	4	6	913-866	14
„კალ“. (ტალ.)	10	4	6	824-868	14
რტი (მინსკი)	8	4	4	711-716	12
„დინ“ (თბ.)	10	2	8	856-928	12
ვეფ (რიგა)	10	2	8	872-1024	12
„ეალ.“ (კაუნ.)	6	5	1	608-567	11
„შახ.“ (დონ.)	8	2	6	637-712	10

ჩოსიჩი — საბერძნეთში

გამოჩენილი იუგოსლავიელი კალათბურთელი კრეშიმირ ჩოსიჩი ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტის დატოვების შემდეგ ერთი წელი სათავეში ედგა იტალიის კლუბ ბოლონიის „დიეტოროს“. ახალი სეზონიდან ჩოსიჩი, როგორც ზაგრების „სპორტსკე ნოვოსტი“ იუწყება, ხელმძღვანელობს ათენის ავკ-ის, რომელიც 6 დეკემბერს ევროპის თასების მფლობელთა თასზე შეხვდება კაუნასის „ჟალგირისს“.

ინფორმაცია

ნიუ-იორკი. „მედისონ სკვერ გარდენის“ კორტებზე დასასრულს მიუახლოვდა „გრან-პრის“ სუპერსერიის ტურნირი. ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ბორის ბეკერმა (დაამარცხა ანრი ლეკონტი), ივან ლენდლმა (ანდრე აგასი), იაკობ ჰლასეკმა (ტიმ მაიოტი) და სტეფან ედბერგმა (მაოს ვილანდერი).

გადამწყვეტ ეტაპზე ლენდლმა აჯობა ედბერგს (2:0), ბეკერმა კი ჰლასეკს (2:0). დარჩა ფინალური შეხვედრა ლენდლსა და ბეკერს შორის, რომელიც გამარჯვებულს გამოავლენს.

გაისად, წლის დასაწყისში...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში ერთდროულად ორი შეჯიბრება დაიწყო — 1971 წელსა და უფრო გვიან დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობები. გოგონათა ტურნირის სამივე პრიზიორი და ჭაბუკთა შორის I და II ადგილებზე გასული მოჭადრაკეები გაისად, წლის დასაწყისში, მონაწილეობას მიიღებენ თანატოლთა საკავშირო პირველობებში.

გოგონათა შეჯიბრებაში წილისყრის მიხედვით მონაწილენი ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ სატურნირო ცხრილში: ნატო ეძგვერაძე, სოფიკო ნიკოლაძე, შორენა მოდებაძე, მაია გრიგალაშვილი, თამარ როჭიკაშვილი, ინგა ხურცილავა, თეა სახოკია, მაია ლომინეიშვილი, ეკა კეშელარია, მარინე ლებანიძე, ნინო ღლონტი, თამარ ფაჩულია.

გთავაზობთ I და II ტურის ტექნიკურ შედეგებს: **I ტური:** ეძგვერაძე-ფაჩულია — 1:0, ნიკოლაძე-ღლონტი — 1:0, მოდებაძე-ლებანიძე — 0:1, გრიგალაშვილი-კეშელარია — 0,5:0,5, როჭიკაშვილი-ლომინეიშვილი — 0:1, ხურცილავა-სახოკია — 1:0.

II ტური: ფაჩულია-სახოკია — 0:1, ლომინეიშვილი-ხურცილავა — 0:1, კეშელარია-როჭიკაშვილი — 1:0, [illegible]ძე-გრიგალაშვილი — 1:0, ღ[illegible] მოდებაძე — 1:0, ეძგვერაძ[illegible]ლებანიძე — 0:1.

2 ტ[illegible] შემდეგ 2-2 ქულით დაწინაურდნენ: სოფიკო ნიკოლაძე, ინგა ხურცილავა და მარინე ლებანიძე.

ჭაბუკთა სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: მიხეილ კეკელიძე, თემურ მასხარაშვილი, იანის პოპოვი, დავით უთმელიძე, დიმიტრი ჯანგობეგოვი, დავით ტიკურიშვილი, ალექსანდრე დგებუაძე, ბექა კვარაცხელია, კახა ხაბურზანია, აკაკი იაშვილი, ალექსანდრე კაშაშვილი, გია გოგოლაძე.

I ტური: კეკელიძე-გოგოლაძე — 0:1, მასხარაშვილი-კაშაშვილი — 1:0, პოპოვი-იაშვილი — 1:0, უთმელიძე-ხაბურზანია — 0:1, ჯანგობეგოვი-კვარაცხელია — 1:0, ტიკურიშვილი-დგებუაძე — 1:0.

II ტური: გოგოლაძე-დგებუაძე — 0,5:0,5, კვარაცხელია-ტიკურიშვილი — 0:1, ხაბურზანია — —ჯანგობეგოვი — 1:0, იაშვილი-უთმელიძე — 1:0, კაშაშვილი-პოპოვი — 0:1, კეკელიძე-მასხარაშვილი — 1:0.

2 ტურის შემდეგ ლიდერობენ: იანის პოპოვი, დავით ტიკურიშვილი, კახა ხაბურზანია — 2-2.

ვახტან ვაშაკიძე.

ზედიზედ სამ-სამი გამარჯვება

ზედიზედ სამ-სამი გამარჯვება მოიპოვეს კიეველმა ელენა სედინამ და ქუთაისელმა ჰენრიეტა ლაგვილავამ და სათავეში ჩაუდგნენ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ქალთა პირველობას, რომელიც თბილისის პროფკავშირების მძლეოსნობის სასახლეში მიმდინარეობს. უკვე შედგა 4 ტური. ჯერჯერობით საუკეთესო შედეგი — 4-დან 3,5 ქულა — მხოლოდ ორმა მოჭადრაკემ მოაგროვა. ლიდერებს კვალში მიჰყვებიან ჩელიაბინსკელი ნატალია შუმიაკინა (3 ქულა), ოდესელი ანჯელა ბელაკოვსკაია (2,5), თბილისელი ნათია ჯანჯღავა და ოდესელი მარინა იარმოლინსკაია (2-2). წამყვან მოჭადრაკეთა ჯგუფის დაწევა შეუძლიათ თბილისელ ლია სადუნიშვილსა და გორელ ციალა ქასოშვილს, რომელთაც 1,5-1,5 ქულა დაუგროვდათ, ოღონდ 3-3 შეხვედრიდან. საქართველოს დანარჩენ მოჭადრაკეებს ჯერჯერობით არასახარბიელო მდგომარეობა აქვთ. სამტრედიელმა სოფიკო ტერელაძემ 4-დან ქულანახევარი მოაროვა, თბილისელ თეა ლანჩავას 4 შესაძლებლიდან 1 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. თბილისელი ნინო ხურციძე კი სამ შეხვედრაში ორჯერ დამარცხდა და მხოლოდ ერთხელ დაუზავდა მეტოქეს.

III და IV ტურების ტექნიკური შედეგები:

III ტური: სადუნიშვილი-ხურციძე 0,5:0,5, სედინა-ლაიმა დომარკაიტე (ვილნიუსი) 1:0, ბელაკოვსკაია — ქასოშვილი 0:1, შუმიაკინა-ტერელაძე 1:0, ფირუზა ველიხანლი (ბაქო) — ჯანჯღავა 0,5:0,5, ლაგვილავა — იარმოლინსკაია 1:0. გადაიდო მოსკოველ მარინა უმანსკაიასა და თეა ლანჩავას პარტია.

IV ტური: ხურციძე-იარმოლინსკაია 0:1, ჯანჯღავა-ლაგვილავა 0:1, ლანჩავა-ველიხანლი 1:0, ტერელაძე-უმანსკაია 0,5:0,5, ქასოშვილი — შუმიაკინა 0,5:0,5, დომარკაიტე-ბელაკოვსკაია 0:1, სადუნიშვილი — სედინა 0:1.

საუკეთესონი

მადრიდი. ესპანეთის სპორტული პრესის ასოციაციამ ჩაატარა ტრადიციული გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო დაესახელებინათ წლევანდელი სპორტული სეზონის გმირები.

მსოფლიოს საუკეთესო გუნდად დასახელებულია საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელმაც სეულის ოლიმპიური თამაშები მოიგო. ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ესპანელებმა აღიარეს საბჭოთა მეკარე რინატ დასაევი. სპეციალური ჯილდო „სპორტული გმირობისთვის“ გადაეცა ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, მოცურავე ვლადიმერ სალნიკოვს.

გამოკითხვამ სხვა ლაურეატებიც გამოავლინა. მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია კუბელი მძლეოსანი, მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ხავიერ სოტომაიორი, საუკეთესო სპორტსმენ ქალად — 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მარათონულ რბენაში, პორტუგალიელი როსა მოტა. ერთი სპეციალური ჯილდო — „წლის პერსონა“ გადაეცემა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს.

კონკურსის ლაურეატთა დაჯილდოვება მოხდება 19 დეკემბერს მადრიდში.

ფეხბურთი — საქართველოს პირველობა

ბაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა, 41-ე ტურის შეხვედრები: „დურუჯი“ (ყვარელი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:2, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სქური“ (წალენჯიხა) 4:2, „მეშახტე“ (ტყიბული) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „დინამო“ (გაგრა) 1:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:2, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:0, „ამირანი“ (ონამჩირე) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:2, „ივერია“ (ხაშური) — „სულორი“ (ვანი) 1:0.

„სპორტლოტო“

ბუენოსაიროსი მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 49-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 11 (ფრენბურთი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 20 (აფროსნობა), 21 (ცურვა), 29 (სასტენდო სროლა), 31 (ფარიკაობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 24 (ხელბურთი), 25 (საციგაო სპორტი), 30 (ძალოსნობა), 32 (ფიგურული ციგურაობა).

რედაქტორი
თ. ბაჩიჩილაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლენინი“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10962